



## ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება

ქ. თბილისი

09.12.2016

ადამიანის უფლებათა გაერთიანებული ერების უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში, წარმოდგენილი სამხრეთ კავკასიაში ადამიანის უფლებათა საკითხებში უფროსი მრჩეველის, **ვლადიმირ შკოლნიკოვის** სახით, და შოთა მესხიას სახელობის ბუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი რექტორის, **თეონა ხუფენიას** სახით (შემდგომში მხარეები)

ითვალისწინებენ რა, რომ ადამიანის უფლებათა გაერთიანებული ერების უმაღლესი კომისრის ოფისის მანდატი მოიცავს ადამიანის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობას მსოფლიოში,

ითვალისწინებენ რა, რომ შოთა მესხიას სახელობის ბუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების განვითარება,

აღიარებენ რა ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვისათვის, შესაბამისი განათლების ხელშეწყობისა და ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობას,

აცნობიერებენ რა სარგებელს, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს აღნიშნულ სფეროში მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობიდან, და

სურთ რა, საერთო მიზნების მისაღწევად თანამშრომლობის გაღრმავება, თანხმდებიან შემდეგზე:

### მუხლი 1

შეთანხმების მიზანია, ადამიანის უფლებების სფეროში სტუდენტთა ცოდნის ამაღლების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ერთობლივი ღონისძიებებისა და პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება.

### მუხლი 2

დასახული მიზნის მისაღწევად, მხარეები თანხმდებიან ერთობლივი ძალისხმევით დაგეგმონ და განახორციელონ:

- ა) შესაბამისი ექსპერტების მონაწილეობით, სტუდენტთათვის ადამიანის უფლებათა თემაზე საჯარო ლექციები და სემინარების გამართვა;
- ბ) სასწავლო კურიკულუმის შექმნა ან განახლება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით და პრეცედენტული სამართლით;



UNITED NATIONS  
HUMAN RIGHTS  
OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER

გ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის სამხრეთ კავკასიაში გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომისრის წარმომადგენლობის მიერ გამოცემული პუბლიკაციებისა და ლიტერატურის მიწოდება;

აღნიშნული ამოცანებისათვის, ადამიანის უფლებათა კომისრის წარმომადგენლობას სამხრეთ კავკასიაში მიეცემა საშუალება უნივერსიტეტის ბაზაზე ჩაატაროს ერთობლივად დაგეგმილი ღონისძიებები და ხსენებული მიზნით გამოიყენოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

### მუხლი 3

შეთანხმების საფუძველზე თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და ფარგლები შესაძლებელია განისაზღვროს მხარეთა შეთანხმებით;

შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან და მასში შეიძლება შეტანილი იქნას ცვლილებები მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

შეთანხმება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

### მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ შოთა მესხიას სახელობის  
ბუგდიდის სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტი

ადამიანის უფლებათა უმაღლესი  
კომისრის ოფისი  
სამხრეთ კავკასიაში

რექტორი  
თეონა ხუფენია

უფროსი მრჩეველი  
ვლადიმერ შკოლნიკოვი

მისამართი: ბუგდიდი, ჯანაშიას ქ. 14

მისამართი: თბილისი, ერისთავის ქ. 9